LIFE ENDANGERMENT AS A CRIME UNDER GEORGIAN, FRENCH AND AMERICAN LAW

Kakha Tsikarishvili

Professor at the Georgian Institute of Public Affairs, PhD student at Faculty of Law, at Tbilisi Iv. Javakhishvili State University

Email: k_tsikarishvili@hotmail.com

Abstract

Criminal legislation of Georgia and some other countries provide for specific offenses that endanger human life or health. The article discusses the crime under Article 127 of the Criminal Code – putting in a life-threatening situation comparable to similar crimes in American and French law. The article also discusses hypothetical cases as well as examples from case law. As a result of this comparison, it is concluded that the article 127 of the Criminal Code of Georgia has a shortcoming, which complicates its application in practice. Namely, the reference to the vulnerability of the victim should be deleted. A new legislative version of this article is proposed as a conclusion.

KEYWORDS: Danger, Recklessness, Intention

შესავალი

სხვა ქვეყნების კანონმდებლობლობის მსგავსად, ქართული სისხლის სამართალი იცნობს როგორც შედეგიან, ასევე აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებს. შედეგიანი დელიქტი ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას გულისხმობს, ხოლო აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტები გულისხმობს სამართლებრივი სიკეთისთვის აბსტრაქტული ან კონკრეტული საფრთხის შექმნას[1].

ქართული სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტული საფრთხის დელიქტები ძირითადად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნას მოიცავენ. ასეთი დანაშაულების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ სსკ. 127-130-ე (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება), სსკ. 239[1]-ე (ძალადობრივი ქმედებისკენ საჯარო მოწოდება), სსკ. 247-ე (სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება) და სხვა მუხლები.*

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე თავი, კერძოდ 21-ე თავი ეძღვნება დანაშაულებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. აქედან სამი მუხლი – სსკ. 127, 128, 129 მუხლები ატარებენ ზოგად ხასიათს (ანუ მათი მოქმედება არ შემოიფარგლება საქმიანობის კონკრეტული სფეროთი ან ამსრულებლის კონკრეტული პროფესიით) და გულისხმობენ მსხვერპლის ყოფნას სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში.

აღნიშნული მუხლებიდან სსკ. 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოირჩევა იმით, რომ ის შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით[2], მაშინ როცა სსკ. 128-ე და 129-ე მუხლები დანაშაულებრივ უმოქმედობას ითვალისწინებენ[3]. ამასთან, სსკ. 128-ე მუხლის მსგავსად სსკ. 127-ე მუხლშიც დაზარალებული არის ის პირი, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ზომები თავის დასაცავად. გარდა ამისა, სსკ. 127-ე და სსკ. 129-ე მუხლებისგან განსხვავებით, სსკ. 128-ე მუხლის ამსრულებელი სპეციალურია, ანუ ის, ვისაც ევალება მსხვერპლზე ზრუნვა. აღნიშნული ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც კანონიდან, ასევე პროფესიული ან სამსახურებრივი მდგომარეობიდან, ასევე დამნაშავის წინარე ქმედებიდან ან ხელშეკრულებიდან[4].

---

1 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 76-77; Duff, A., Criminalizing Endangerment, 2005. Louisiana Law Review, volume 65, 3, გვ. 955.

* გარდა აღნიშნული სამი კატეგორიისა სისხლის სამართლის კოდექსი ასევე მოიცავს ე.წ. აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებს. ამ კატეგორიის დელიქტებში მოსამართლეს უწევს იმის შემოწმება - კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხეს შეეძლო თუ არა გამოეწვია სათანადო შედეგი. იხ. ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 76-77.

2 იხ. ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 322. თუმცა, არსებობს მოსაზრებაც რომ სსკ. 127-ე მუხლი შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ მოქმედებით: მაგ. იხ. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. თბილისი: მერიდიანი, გვ. 189.

3 იხ. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. თბილისი: მერიდიანი, გვ. 189.

4 იქვე. გვ. 193.

საფრთხის დელიქტების სუბიექტური შემადგენლობა მჭიდროდ უკავშირდება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ დავას ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ*. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სსკ. 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არსებობს სწორედ იმ მიზეზით, რომ კანონმდებელს სურს შეავსოს ის ვაკუუმი, რაც გამოწვეულია ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობის დაუსჯელობით. შესაბამისად ის შემთხვევა, როდესაც დამნაშავეს შესაძლო ფატალური შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვა ამოძრავებს მოცულია სსკ. 127-ე მუხლით[5].

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ სსკ. 127-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის ანალოგიურ დანაშაულს ითვალისწინებს საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის, მათ შორის ფრანგული და ამერიკული სისხლის სამართალი. მათ შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების განხილვა წარმოაჩენს ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლის დღევანდელი რედაქციის ნაკლოვანებებს და წარმოაჩენს აღნიშნულ მუხლში ცვლილებების შეტანის საჭიროებას.

1. კაზუსები განსახილველად

ნაშრომში გაანალიზებული საკითხების საილუსტრაციოდ მიზანშეწონლია მოვიყვანოთ ორი ჰიპოთეტური კაზუსი, რომლებსაც სტატიის მომდევნო თავებში განვიხილავთ ქართული, ფრანგული და ამერიკული სისხლის სამართლის შესაბამისად.

კაზუსი 1.

მსუბუქი ავტომანქანით მოძრავი ლექსო მის წინ მოძრავი ტრაილერის გასწრების მიზნით გადავიდა საპირისპირო ზოლზე და საფრთხე შეუქმნა საპირისპირო გზიდან მოძრავ ავტომანქანას, რომელსაც მართავდა კარლო. ლექსოს გათვალისწინებული ჰქონდა, რომ მისი ქმედებით საფრთხე შეექმნა საგზაო მოძრაობის მონაწილეებს, მაგრამ გულგრილად ეკიდებოდა ნებისმიერი, მათ შორის ფატალური შედეგის დადგომას. შეჯახების თავიდან არიდების მიზნით კარლო გადავიდა გზიდან, თუმცა დამუხრუჭების შემდეგ ჩავარდა ღრმა თხრილში. შემთხვევის შედეგად არავინ დაშვებულა.

კაზუსი 2.

მდინარეზე სასეირნოდ წასულმა ლექსომ ხუმრობის მიზნით ხელი ჰკრა კარლოს, რომელმაც ცურვა არ იცოდა და წყალში გადაადგდო. ლექსომ იცოდა, რომ კარლომ ცურვა არ იცოდა, თუმცა იმედოვნებდა, რომ წყალი ღრმა არ იყო და კარლოს არაფერი მოუვიდოდა. მოცემულ ადგილას წყალი ღრმა აღმოჩნდა და კარლო დაიხრჩობოდა, რომ იქ შემთხვევით მყოფ მაშველებს არ გადაერჩინათ.

2. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით.

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

* იხ. მაგ. ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 136. მჭედლიშვილი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 70-71.

5 იხ. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. თბილისი: მერიდიანი, გვ. 183.

მუხლი 127 – სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს, მიიღოს ზომები თავის დასაცავად, ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით - ვადით ორ წლამდე.

2.1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

აღნიშნული დანაშაულის ხელყოფის ობიექტს ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასურველია აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა შეიცვალოს და ასევე ითვალისწინებდეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნას[6]. აღნიშნული პოზიცია არ არის გასაზიარებელი შემდეგი მოსაზრებების გამო: ქართული სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ჯანმრთელობის დაზიანების სხვადასხვა ხარისხებს – მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანებას. ერთის მხრივ, თუ სსკ. 127-ე მუხლში ჯანმრთელობის დაზიანება ჩაიწერება ის ძალიან გააფართოებს ამ მუხლის მოქმედების ფარგლებს (ანუ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების საფრთხის შექმნაც დასჯადი გახდება), ხოლო თუ ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი დაზუსტდება და ჩაიწერება მაგალითად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საფრთხის შექმნა,* ეს ძალიან გაართულებს ამ მუხლის გამოყენებას, ვინაიდან ჰიპოტეტური დაზიანების ხარისხის დადგენა პრაქტიკულ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული.*

აღნიშნული დანაშაული შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით[7]. კანონი არ აღწერს მოქმედების კონკრეტულ ხერხს და ის შეიძლება საფრთხის შემქნელი ნებისმიერი ქმედებით გამოიხატოს. ლიტერატურაში აღნიშნული დანაშაულის გავრცელებულ მაგალითად მოიხსენიებენ ცუდ ამინდში დედის მიერ მცირეწლოვანი ჩვილის დატოვებას სხვისი სახლის წინ.[8]

აღნიშნული დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც მსხვერპლი აღმოჩნდება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში[9]. იმ შემთხვევაში თუ ფატალური შედეგი დადგა, ქმედება განზრახ მკვლელობად ან სიცოცხლის გაუფრთხილებელ მოსპობად დაკვალიფიცირდება.[10]

ქართულ სისხლის სამართალში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტები გულისხმობენ პირველ რიგში ქმედების ობიექტის არსებობას და საფრთხის ზემოქმედების სფეროში მოქცევას და მეორეც, ინკრიმინირე-

6 იხ. ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 322.

* მაგ. როგორც ეს გათვალისწინებულია მაგ. ამერიკული კანონმდებლობით (ამერიკული სამართლის შესახებ იხ. ქვემოთ, 5).

* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს მრავალ მუხლს რომლებიც მოიცავენ ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნას (მაგალითისთვის იხ. სსკ. 179-ე, 197-ე, 198-ე, 231-ე, 250-ე, 293-ე მუხლები) თუმცა დაზიანების ხარისხი არსად არის მითითებული, ასეთ შემთხვევებში კანონმდებელი დაზიანების ხარისხის დაკონკრეტებას თავს არიდებს.

7 იხ. ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 322.

8 იხ. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. თბილისი: მერიდიანი, გვ. 190.

9 იქვე. გვ. 189.

10 იქვე, გვ. 191.

ბული ქმედებით ობიექტის ხელყოფასთან ახლოს მდგარი საფრთხის შექმნას[11].

დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ასეთ ადამიანთა წრეს განეკუთვნება მოხუცი, მცირეწლოვანი, ინვალიდი და ა. შ.[12] სამართლის დოქტორი თემურ ცქიტიშვილი მიჩნევს, რომ აღნიშნული შეზღუდვა გაუმართლებელია. ამ დანაშაულის მსხვერპლთა წრე უნდა გაფართოვდეს და მოიცვას ნებისმიერი პირი, ხოლო მსხვერპლის უმწეო მდგომარეობა გათვალისწინებული იქნას კვალიფიციური შემადგენლობის სახით[13].

აღნიშნული მოსაზრება მართებულად იქნა გათვალისწინებული იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის კოდექსის პროექტით, სადაც სსკ. 127-ე მუხლი ფორმულირებულია შემდეგნაირად:

მუხლი 127. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება

1. პირის ჩაყენება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, – ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან/და თავისუფლების აღკვეთით – ვადით ორ ერთ წლამდე.
2. იგივე ქმედება, როდესაც დაზარალებულს არ აქვს თავის დაცვის შესაძლებლობა, – ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან/და თავისუფლების აღკვეთით – ვადით სამ წლამდე[14].

2.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

აღნიშნული დანაშაული გულისხმობს პირდაპირ განზრახვას საფრთხის მიმართ[15].

იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა სახის ფსიქიკური დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს პირს ფატალური შედეგის მიმართ (რომელიც შემადგენლობის გარეთ მდებარეობს) მეცნიერებაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს.

ო. გამყრელიძე მიიჩნევს, რომ დამნაშავეს უნდა ჰქონდეს ევენტუალური განზრახვა ფატალური შედეგის მიმართ[16]. მ. ტურავა მიიჩნევს, რომ აქ მხოლოდ თვითიმედოვნება იგულისხმება[17]. გ. მამულაშვილი მიიჩნევს, რომ აქ მოიზრება როგორც ევენტუალური განზრახვა, ასევე თვითიმედოვნება[18].

11 ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 98.

12 იქვე. გვ. 322.

13 იქვე.

14 საქართველოს კანონის პროექტი – „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე, 30/06/2014 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2383542?publication=0> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].

15 იხ. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. თბილისი: მერიდიანი, გვ. 190. იხ. უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: გვ. 25.

16 გამყრელიძე, ო., 2013. სისხლის სამართლის პრობლემები. III ტომი. გვ. 245.

17 ტურავა, მ., სისხლის სამართალი, 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 138.

18 იხ. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. თბილისი: მერიდიანი, გვ. 190. ამასთან ლიტერატურაში დავას არ იწვევს ის, რომ ფატალური შედეგის მიმართ პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება განზრახ მკვლელობად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშნული დავა ასევე უკავშირდება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ქართველი ავტორების ნაწილი მიიჩნევს, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა შეუძლებელია და სწორედ იმისთვის შემოიღო კანონმდებელმა სსკ. 127-ე მუხლი, რომ შეევსო ამით გამოწვეული ვაკუუმი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში.[19]

სასამართლო პრაქტიკაში სსკ. 127-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაცია იშვიათია. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში იძებნება მხოლოდ ორი საქმე, რომელიც ეხება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებას.

საქმეში 1144აპ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება) მსჯავრდებულმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარის ქვეშ, იძულებით, მისი ნების საწინააღმდეგოდ ამყოფა დაზარალებული ავტომანქანის სალონში, ხოლო 19 საათის შემდეგ იმავე ტერიტორიაზე, სხვა პირთან ერთად, შეუკრა ხელფეხი და მიაბა ხეზე, რამაც გულით დაავადებული ლ. ც., რომელსაც არ ჰქონდა შესაძლებლობა, თავის დასაცავად მიეღო ზომები, ჩააყენა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. დაზარალებულ ლ. ც-ს ჩვენებით ირკვევა, რომ ყაჩაღურად თავს დაესხა სამი პირი, მათ შორის მსჯავრდებული, წებოვანი ლენტით აუკრეს პირი და მიაბეს ხეზე. როდესაც თავი გაითავისუფლა, ღამე იყო და გზა ვერ გაიგნო. აწუხებს გულის ავადმყოფობა და მომხდარის გამო შოკში ჩავარდა, დაჰკარგა გონი და დილამდე უგონოდ იყო. განაჩენში არ არის მითითებული, რა სახის დამოკიდებულება ჰქონდა დამნაშავეს შესაძლო ფატალური შედეგის (ანუ ლ.ც.-ს გარდაცვალების) მიმართ, კერძოდ, ეს იყო ევენტუალური განზრახვა თუ თვითიმედოვნება. სასამართლომ სხვა მუხლებთან ერთად. აღნიშნული ქმედება დააკვალიფიცირა სსკ. 127-ე მუხლით.

საქმეში 2კ. – 2-კოლ-04 (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება) მ. ვ-ამ და შ. გ-მა წინასწარი შეთანხმებით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით გაიტაცეს კ. ა-ვა და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება გარდაბნის რაიონის სოფ. – --ში. მათ კ. ა-ას გატაცებით მისი ექვსი თვის უმწეო ბავშვი ჩააყენეს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, ვინაიდან ბავშვი მარტო დარჩა სახლში. პირველი გადაწყვეტილების ანალოგიურად, არც აქ არის მითითებული თუ განზრახვის თუ გაუფრთხილებლობის რომელი სახე აკავშირებდა დამნაშავეს საფრთხის ან შესაძლო ფატალური შედეგის მიმართ. სასამართლომ სხვა მუხლებთან ერთად ბრალდებულთა ქმედება დააკვალიფიცირა სსკ. 127-ე მუხლით.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ ორივე საქმეში სსკ. 127-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაცია დავას არ იწვევს, თუმცა სასამართლო არ განმარტავს განზრახვის თუ გაუფრთხილებლობის რომელი სახე აკავშირებს ბრალდებულს ან ფატალური შედეგის, ან თუნდაც საფრთხის მიმართ. მეორე მხრივ, ორივე საქმეში სახეზეა პირი, რომელსაც გარკვეული გარემოებების გამო არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად.

2.3. კაზუსების განხილვა ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით სტატიის დასაწყისში მოყვანილ პირ-

19 იქვე. გვ. 184.

ველ კაზუსში ქმედების კვალიფიკაცია სადაოა: ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრეთა შეხედულებით აღნიშნული კაზუსი განზრახ მკვლელობის მცდელობად[20] (სსკ. 19-108 მუხლი) უნდა დაკვალიფიცირდეს, ხოლო თუ ევენტუალური განზრახვით მცდელობას შეუძლებლად მივიჩნევთ, მაშინ აღნიშნული კაზუსი საერთოდ არ ქმნის დასჯადი ქმედების შემადგენლობას ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში პირის ჩაყენება, დაზარალებული არ არის პირი, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს, მიიღოს ზომები თავის დასაცავად (პირიქით, მოცემულ კაზუსში კარლომ მიიღო კიდეც ზომები თავის დასაცავად). შესაბამისად, აღნიშნული კაზუსი სსკ. 127-ე მუხლით არ დაკვალიფიცირდება.

რაც შეეხება მეორე კაზუსს, აქ სსკ. 127-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა პირობა სახეზეა, კერძოდ, გვაქვს როგორც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (ვინაიდან არსებობდა მსხვერპლის დახრჩობის საფრთხე), ასევე, დამნაშავის მიერ საფრთხის გათვალისწინება (ასევე, თვითიმედოვნება შესაძლო ფატალური შედეგის მიმართ), ასევე, სახეზეა დაზარალებული, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ზომები თავის დასაცავად. შესაბამისად, ლექსოს ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ. 127-ე მუხლით.

ამ ნაწილში შეჯამების სახით უნდა ითქვას რომ ქართული სისხლის სამართლის თანახმად მეორე კაზუსი ცალსახად დაკვალიფიცირდება სსკ. 127-ე მუხლით, ხოლო პირველი კაზუსი აღნიშნული მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება, ვინაიდან სახეზე არ გვყავს დაზარალებული, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად.

3. საშიშ მდგომარეობას ჩაყენება ფრანგულ სისხლის სამართალში

მე-19-და მე-20 საუკუნეში მოქმედი ფრანგული სისხლის სამართლის კოდექსი პირის განსაცდელში ჩაყენების სახით ზოგად შემადგენლობას არ იცნობდა. აღნიშნული ქმედების ინკრიმინირება მოხდა მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიღებული ახალი სისხლის სამართლის კოდექსით. ამ კანონის მიღებას წინ უძღოდა საპარლამენტო დებატები, სადაც კანონპროექტის ოპონენტები მიიჩნევდნენ, რომ ის ხელს შეუშლიდა გარკვეული სახის ეკონომიკურ აქტივობებს და ჩაახშობდა კერძო ინიციატივას, ხოლო სხვები ფიქრობდნენ, რომ ამ ნორმას ჰქონდა ბუნდოვანი ხასიათი, ვინაიდან მოსამართლეს მოუწევდა სპეკულირება დანაშაულის რეალურ საშიშროებაზე[21].

საბოლოო ჯამში, ნორმა მიღებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 223-1 მუხლის სახით, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად:

მყისიერი სიკვდილის ან დასახიჩრების ან შრომისუნარიანობის მუდმივი დაკარგვის საფრთხეში სხვისი ჩაყენება, რაც გამომდინარეობს სიფრთხილისა და უსაფრთხოების კონკრეტული ვალდებულებიდან, რომელიც კანონით ან რეგლამენტით არის დადგენილი – ისჯება 1 წლით თავისუფლების აღკვეთით და 15 000 ევროს ჯარიმით.

3.1. ობიექტური შემადგენლობა

აღნიშნული დანაშაულისგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი არის არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლე, არამედ ჯანმრთელობა. აღნიშნულით ის განსხვავდება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის

20 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 138.

21 Dreyer, E., 2008. Droit Penal Special. Paris: Ellipses, გვ. 84.

127-ე მუხლისგან, რომლის დაცვის ობიექტი არის მხოლოდ ადამიანის სიცოცხლე.

ქმედება გამოიხატება კანონით ან რეგლამენტით მკაფიოდ გაწერილი წინდახედულობის ან უსაფრთხოების ნორმის დარღვევაში. წინდახედულობის დაუწერელი წესების დარღვევა არ მოგვცემს ამ დანაშაულის შემადენლობას. „რეგლამენტში" მოიაზრება ზოგადი და არა ინიდივიდუალური ხასიათის ადმინისტრაციული ნორმები[22]. აქ შესაძლებელია მოიაზრებოდეს მაგალითად, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა[23]. ეს მუხლი ასევე გამოიყენება, მაგალითად, ავი ძაღლების მეპატრონეების მიმართ, რომლებიც უყურადღებოდ ტოვებენ საკუთარ ცხოველებს.[24] აღნიშნული ჩანაწერით ფრანგული სისხლის სამართლის სამართლის კოდექსის 223-1 მუხლი განსხვავდება ქართული ანალოგისგან, რომელიც წინდახედულობის დაწერილი ნორმების დარღვევას საგანგებოდ არ მოითხოვს.

ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით.[25]

აღნიშნული მუხლი შედეგის სახით გულისხმობს მყისიერი სიკვდილის ან დასახიჩრების ან შრომისუნარიანობის მუდმივი დაკარგვის საფრთხის შექმნას, რომელიც უნდა იყოს მეტნაკლებად გათვალისწინებადი.[26] საფრთხე ასევე უნდა იყოს კონკრეტული, მყისიერი და არა შორეული.* ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლისგან განსხვავებით საფრანგეთის სსკ. 223-1 მუხლი არ ითხოვს რომ მსხვერპლი იყოს ის პირი ვისაც შესაძლებლობა არ აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად.

შედეგის დადგომის შემთხვევაში ქმედება გადაკვალიფიცრდება სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობად ან ჯანმრთელობის გაუფრთხილებელ დაზიანებად[27]. აღნიშნულით ფრანგული სისხლის სამართალი განსხვავდება ქართულისგან, ვინაიდან ფატალური შედეგის დადგომის შემთხვევაში ქართულ სისხლის სამართალში ფატალური შედეგის დადგომის შემთხვევაში, ქმედება განზრახ მკვლელობად ან სიცოცხლის გაუფთხილებელ მოსპობად დაკვალიფიცირდება.

3.2. სუბიექტური შემადგენლობა

აღნიშნული დანაშაული გულისხმობს შედეგთან ფსიქიკური დამოკიდებულების

22 იქვე. გვ. 85. შესაბამისად, ეს ვერ იქნება მაგალითად კერძო საწარმოს ან სპორტული კლუბის შიდა უსაფრთხოების წესები.

23 იქვე. გვ. 86. მაგ. აღნიშნული მუხლით მსჯავრდებული იქნა მძღოლი რომელმაც დაარღვია მოძრაობის წესები, გადავიდა გზის მარცხენა მხარეს და მოძრაობაში ხელი შეუშალა მოტოციკლისტებს, გამოიწვია ერთ ერთი მათგანის მოტოციკლეტიდან გადმოვარდნა.

24 იქვე. გვ. 87.

25 იქვე.

26 იქვე.

* მაგალითად სასამართლო პრაქტიკით აღნიშნული მუხლით არ დაკვალიფიცირდა მოთხილამურეთა ტრასაზე მოძრაობა მოტორიზებულის საშუალებით, ვინაიდან დროის, ადგილის, სიჩქარის და მოთხილამურეების მდებარეობის გათვალისწინებით აღნიშნულს არ შეუქმნია ადამიანის სიკვდილის ან დასახიჩრების მყისიერი და კონკრეტული საფრთხე. Dreyer, E., 2008. Droit Penal Special. Paris: Ellipses, გვ. 89.

27 იქვე. გვ. 88. აღსანიშნავია ის, რომ ფრანგული სისხლის სამართალი ევენტუალურ განზრახვას, გაუფრთხილებლობის სფეროს მიაკუთვნებს. დაწვრილებით იხ. წიქარიშვილი, კ., 2008. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში. მართლმსაჯულება და კანონი, 1, გვ. 42.

იმ ფორმას, რომელიც მდებარეობს განზრახვასა და დაუდევრობას შორის და რომელიც, აერთიანებს ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას[28]. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულ ლიტერატურაში აღნიშნულს ევენტუალური განზრახვით – dol eventual მოიხსენიებენ,* ფრანგულ სამართალში ის განზრახვის ფორმას მაინც არ მიეკუთვნება, არამედ გაუფრთხილებლობის სფეროში მდებარეობს.[29]

ამასთან ერთად დამნაშავეს შეცნობილი უნდა ჰქონდეს კონკრეტული საფრთხე რომელსაც ის უქმნის ადამიანებს.**

შესაძლო ფატალური შედეგის მიმართ განზრახვის არსებობის შემთხვევაში ფრანგულ სისხლის სამართალში აღნიშნული ქმედება განზრახ მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირდება[30].

3.3. კაზუსების გადაწყვეტა ფრანგული სისხლის სამართლის მიხედვით

ფრანგული სისხლის სამართლის მიხედვით პირველი კაზუსი დაკვალიფიცირდება სსკ. 323-1 მუხლით, ვინაიდან სახეზეა აღნიშნული დანაშაულის ყველა ობიექტური და სუბიექტური წინაპირობა. ამასთან ერთად, სახეზეა სპეციალური ნორმატიული აქტით, ანუ საგზაო მოძრაობის წესებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა დამნაშავის მიერ, სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე შეცნობილია დამნაშავის მიერ და მას შესაძლო ფატალურ შედეგთან ევენტუალური განზრახვა dol eventuel აკავშირებს.

რაც შეეხება მეორე კაზუსს, აღნიშნული შემთხვევა სავარაუდოდ სსკ. 323-1 მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება ვინაიდან აღნიშნული მუხლი მოითხოვს სპეციალური ნორმატიული აქტით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესის დარღვევას და მდინარის პირას ადამიანების სეირნობის და მოქცევის წესებს სავარაუდოდ რაიმე ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს, აღნიშნული მხოლოდ წინდახედულობის ზოგადი ნორმებით შეიძლება იყოს გათვალისწინებული. შესაბამისად, ფრანგული კანონმდებლობით აღნიშნული ქმედების ჩადენა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს.

4. ამერიკული სისხლის სამართალი

ქართული სისხლის სამართლის მსგავსად ამერიკული სისხლის სამართალი იცნობს როგორც აბსტრაქტული, ასევე კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, რომელთა შორისაა საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება უგუნურებით (reckless endangerment).

ტერმინი recklessness – დამახასიათებელია საერთო სამართლის ქვეყნებისათვის და ის აერთიანებს როგორც ევენტუალურ განზრახვას, ასევე თვითიმედოვნებას. შესაბამისად ეს არის შედეგთან პირის ფსი-

28 წიქარიშვილი, კ., 2017. დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებები ფრანგულ სისხლის სამართალში, სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 281.

* თუმცა ზოგი ავტორი ასევე მიიჩნევს, რომ ამ დროს მოქმედი პირი ფიქრობს შედეგის თავიდან აცილებას. იხ. Dreyer, E., 2008. Droit Penal Special. Paris: Ellipses, გვ. 90.

29 იქვე. იხ. აგრეთვე, წიქარიშვილი კ., ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, 2008. მართლმსაჯულება და კანონი, 1. გვ. 44.

** ამ საფუძვლით სასამართლომ გაამართლა ბრალდებული, რომელმაც საცხოვრებელი სახლებთან ახლო მანძილზე თოფი ესროლა გარეულ თხას. იხ. Dreyer, E., 2008. Droit Penal Special. Paris: Ellipses, გვ. 90.

30 იქვე. გვ. 45.

ქიკური დამოკიდებულების ცალკე სახე, რომელიც პირდაპირ განზრახვასა და დაუდევრობას შორის მდებარეობს[31].

ამერიკელი მეცნიერის, ანტონი დაფის აზრით, მნიშვნელოვანია კონკრეტული საფრთხის დელიქტები განვასხვავოთ დანაშაულის მცდელობისგან. მცდელობის დროს დამნაშავე გამოავლენს მტრულ დამოკიდებულებას სამართლებრივი სიკეთის მიმართ, ხოლო საფრთხის დელიქტების დროს ის მის მიმართ გულგრილია[32]. შესაბამისად დაფის აზრით, საფრთხის დელიქტები დანაშაულის მცდელობისაგან განსხვავებული ტიპის უმართლობას შეადგენენ[33].

ზოგიერთი ავტორი იძლევა წინადადებას, რომ არსებობდეს კონკრეტული საფრთხის ზოგადი დელიქტის შემადგენლობა ("Acting in a way that creates a substantial and unjustified risk of causing a result made criminal by this Code")[34]. მაგალითად, მაიკლ კაჰილი ფიქრობს, რომ საფრთხის შემქნელი კონკრეტული დელიქტების შექმნის მეშვეობით კანონმდებელი დაადგა ე.წ. სქელი კოდექსის შექმნის გზას[35]. მეორე მხრივ, იგივე ავტორი ფიქრობს, რომ შეუძლია უფრო მოკლე გზა შეარჩიოს და დასჯადად გამოაცხადოს დანაშაულის მცდელობა ევენტუალური განზრახვით/თვითიმედოვნებით[36].

თუმცა ასეთი ინიციატივა არც თეორიის და არც კანონმდებლის მიერ ჯერჯეობით არ იქნა გაზიარებული. დაფი მიიჩნევს, რომ საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზების წინ კანონმდებელი ყოველთვის უნდა დაფიქრდეს, თუ რამდენად სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ეს დანაშაულები საზოგადოებას, რათა გამართლებული იყოს სისხლის სამართლებრივი რეპრესია თითოეულ ასეთ შემთხვევაში[37].

ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება ისჯება როგორც ფედერალური, ასევე საშტატო კანონმდებლობით.

აშშ ფედერალური კოდექსით: 10 U.S. Code § 914 – Art. 114. Endangerment offenses:

„საშიშ მგომარეობაში ჩაყენება: ყველა ადამიანი რომელიც არის ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ჩადის ქმედებას, რომელიც არის:

1. მართლსაწინააღმდეგო და უგუნური
2. ქმნის სიკვდილის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საფრთხეს, ისჯება სისხლის სამართლებრივი წესით".

რაც შეეხება საშტატო კანონმდებლობას, შესაბამისი ნორმები საკმაოდ ემსგავსება ერთმანეთს, თუმცა არის გარკვეული განსხვავებებიც, კერძოდ:

ვერმონტის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით, სექცია 1025: უგუნურებით სხვის საფრთხეში ჩაყენება.

პირი, რომელიც უგუნურებით ჩადის ქცევას, რომელიც სხვა პირს უქმნის სიკვდილის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საფრთხეს, ისჯება ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და 1000 დოლარამდე ჯარიმით.

უგუნურება და საფრთხე ივარაუდება, როდესაც ადამიანი შეცნობილად მიუშვერს იარაღს მეორე ადამიანს, იმის მიუხედავად, იცოდა თუ არა, რომ იარაღი იყო და-

31 იხ. წიქარიშვილი, კ., ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში. 2008. მართლმსაჯულება და კანონი, 1, გვ. 44.

32 Duff, A., 2005. Criminalizing Endangerment. Louisiana Law Review, volume 65, 3, გვ. 945.

33 იქვე.

34 იქვე. გვ. 957.

35 Cahil, T., 2007. Attempt, Reckless Homicide and the Design of Criminal Law. University of Colorado Law Review, Vol.78 (3), გვ. 891.

36 იქვე.

37 Duff, A., 2005. Criminalizing Endangerment. Louisiana Law Review. volume 65, 3, გვ. 957.

ტენილი ან რეალურად იყო თუ არა იარაღი დატენილი[38].

კოლორადოს შტატის კანონმდებლობით 18-3-208 CRS: „პირი რომელიც უგუნურად ჩადის ქმედებას, რომელიც ქმნის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების არსებით რისკს, ჩადის საფრთხეში ჩაყენების დანაშულს, რომელიც არის მესამე კლასის მისდიმინორი“.[39]

ზოგიერთ შტატში ასევე დასჯადია არა მხოლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, არამედ ქონებისათვის საფრთხის შექმნაც, ოღონდ ქონების ღირებულება გარკვეულ თანხას უნდა აღემატებოდეს. მაგალითად, ნიუ იორკის შტატში დასჯადია ქონებისათვის საფრთხის შექმნა, თუ მისი ღირებულება 250 დოლარს აღემატება[40].

4.1. ობიექტური შემადგენლობა

შეერთებული შტატების კანონმდებლობით გათვალისწინებული აღნიშნული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ხოლო ზოგ შემთხვევაში ქონებაც. აღნიშნულით ამერიკული კანონმდებლობა განსხვავდება ქართული სისხლის სამართლის კოდექსისგან, რომლის 127-ე მუხლი მხოლოდ სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას ითვალისწინებს.

ქმედება გამოიხატება უმეტესწილად მოქმედებაში. კანონი, როგორც წესი, არ აღწერს კონკრეტულ მოქმედებებს, თუმცა არის გამონაკლისებიც, მაგალითად. ვერმონტის შტატის კანონმდებლობას საფრთხეში ჩაყენების მაგალითად მოჰყავს ადამიანისკენ ცეცხლსასროლი იარაღის მიშვერა[41].

ლიტერატურაში საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების მაგალითებად ხშირად მოიხსენიებენ შემდეგ შემთხვევებს:

- ავტომანქანის მართვა მთვრალ მდგომარეობაში მცირეწლოვანი მგზავრით;
- ბავშვის დატოვება პაპანაქება სიცხეში ჩაკეტილ ავტომანქანაში;
- ქუჩაში ავტომანქანების შეჯიბრი;
- ავტომანქანის მართვა გაუმართავი მუხრუჭებით;
- ხალხში იარაღის სროლა;
- სახურავიდან მძიმე საგნის გადმოგდება და სხვ.[42]

ამასთან, განსაცდელში ჩაყენების რისკი უნდა იყოს არსებითი. მაგალითად, ზოგიერთი შტატის სასამართლო პრაქტიკით საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებად არ ჩაითვლება ადამიანისთვის თოფის მიშვერა, თუ ის არ არის დატენილი[43].

38 ვერმონტის შტატის კანონი, დანაშაული და სისხლის სამართლის პროცესი, მე-13 თავი, 13 V.S.A. § 1025. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://legislature.vermont.gov/statutes/section/13/019/01025> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].

39 კოლორადოს სისხლის სამართლის კოდექსი § 18-3-208. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://leg.colorado.gov/sites/default/files/images/olls/crs2021-title-18.pdf> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].

40 New York Reckless Endangerment Sentencing. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://criminaldefense.1800nynylaw.com/new-york-reckless-endangerment-sentencing-lawyer.html> [წვდომის თარიღი 12 მაისი 2022].

41 ვერმონტის შტატის კანონი, დანაშაული და სისხლის სამართლის პროცესი, მე-13 თავი, 13 V.S.A. § 1025. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://legislature.vermont.gov/statutes/section/13/019/01025> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].

42 After You Have Been Charged With Reckless Endangerment [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.thebusseylawfirm.com/criminal-defense/reckless-endangerment.html> [წვდომის თარიღი 12 მაისი 2022].

43 Reckless Endangerment. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.karimilawoffice.com/reckless-endangerment> [წვდომის თარიღი 12 მაისი 2022].

4.2. სუბიექტური შემადგენლობა

ამერიკულ სამართალში ევენტუალური განზრახვით/თვითიმედოვნებით დანაშაულის მცდელობა არ ისჯება. შესაბამისად, განსაცდელში ჩაყენების დანაშაულის შემადგენლობის არსებობა ემსახურება სწორედ იმ მიზანს რომ შეავსოს ასეთი ქმედების დაუსჯელობის ვაკუუმი.[44]

აუცილებელია, რომ დამნაშავეს შეცნობილი ჰქონდეს არსებითი და გაუმართლებელი რისკი, რომელსაც წარმოშობს მისი ქმედება.[45]

ფატალური შედეგის მიმართ დამნაშავეს უნდა აკავშირებდეს recklessness – ანუ ევენტუალური განზრახვა ან თვითიმედოვნება.[*]

4.3. კაზუსების გადაწყვეტა ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით

ამერიკული სისხლის სამართლის შუქზე ზემოთ მოყვანილი ორივე კაზუსი დაკვალიფიცირდება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებად (reckless endangerment), ვინაიდან, ერთი მხრივ, სახეზეა ფატალური შედეგის დადგომის საფრთხე და მეორე მხრივ, დამნაშავეს ფატალურ შედეგთან პირველ შემთხვევაში ევენტუალური განზრახვა, ხოლო მეორე შემთხვევაში თვითიმედოვნება აკავშირებს.

დასკვნა

როგორც წინამდებარე მიმოხილვაში ვნახეთ, მსოფლიოს მოწინავე სამართლებრივი სისტემები იცავენ სამართლებრივ სიკეთეებს არა მხოლოდ შედეგიანი დელიქტების, არამედ საფრთხის დელიქტების მეშვეობით, რომელთა მიზანია სამართლებრივ სიკეთეთა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვა ადრეულ ეტაპზე წარმოშობილი საფრთხის პრევენციით.

როგორც ფრანგული და ამერიკული გამოცდილება მოწმობს, კონკრეტული საფრთხის დელიქტები იქმნება ასევე იმის საპირწონედ, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა შეუძლებელია.

სწორედ ასეთ დელიქტს წარმოადგენს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ადამიანის ჩაყენება, რომელსაც ითვალისწინებს როგორც ქართული, ასევე ფრანგული და ამერიკული სისხლის სამართალი.

სტატიაში მოყვანილი კაზუსების განხილვა მოწმობს, რომ ფრანგული სისხლის სამართალი მეტისმეტად ავიწროებს პასუხისგებლობას იმით, რომ ისჯება მხოლოდ კანონით ან რეგლამენტით გათვალისწინებული წინდახედულობის ნორმების დარღვევა. აღნიშნული ჩანაწერი კი საკანონმდებლო რეგულაციის გარეთ ტოვებს სოციალურად საშიშ ქმედებათა ფართო სპექტრს, როცა შესაბამისი წინდახედულობის ნორმა არ არის გაწერილი კანონით ან რეგლამენტით.

44 იხ. წიქარიშვილი, კ., 2008. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში. მართლმსაჯულება და კანონი, 1, გვ. 44.

45 Reckless Endangerment [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.blairkim.com/reckless-endangerment.html> [წვდომის თარიღი 12 მაისი 2022].

* ამერიკულ სისხლის სამართალში „recklessness“ – უგუნურება, რომელიც მდებარეობს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის აერთიანებს ევენტუალურ განზრახვას და თვითიმედოვნებას. იხ. წიქარიშვილი, კ., 2008. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში. მართლმსაჯულება და კანონი, 1, გვ. 44.

მეორეს მხრივ, შემზღუდავია ქართული სისხლის სამართლის კოდექსიც, რომელიც შეიცავს მითითებას იმ პირზე, ვისაც შესაძლებლობა არ აქვს, მიიღოს ზომები თავის დასაცავად. აღნიშნულიდან გამომდინარე გასაზიარებელია პროფ. თემურ ცქიტიშვილის მოსაზრება, რომ აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნას, ასევე იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

მუხლი 127. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება:

1. პირის ჩაყენება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან/და თავისუფლების აღკვეთით – ვადით ორ-ერთ წლამდე;
2. იგივე ქმედება, როდესაც დაზარალებულს არ აქვს თავის დაცვის შესაძლებლობა, – ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. თბილისი: მერიდიანი.
2. ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი.
3. მჭედლიშვილი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი.
4. Dreyer, E., 2008. Droit Penal Special. Paris: Ellipses.

ნორმატიული მასალა:

1. აშშ ფედერალური კოდექსი, 10 U.S. Code. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://uscode.house.gov/browse/prelim@title10&edition=prelim> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].
2. ვერმონტის შტატის კანონი, დანაშაული და სისხლის სამართლის პროცესი, მე-13 თავი, 13 V.S.A. § 1025. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://legislature.vermont.gov/statutes/section/13/019/01025> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].
3. კოლორადოს სისხლის სამართლის კოდექსი. § 18-3-208. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://leg.colorado.gov/sites/default/files/images/olls/crs2021-title-18.pdf> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=241> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].
5. საქართველოს კანონის პროექტი – „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე, 30/06/2014. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/4111808?publication=0> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].
6. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი. 1994. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT000006070719/> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2022].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება (საქმე 1144ას).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე 2 კ. 2-კოლ-04).

Bibliography:

Used Literature:

1. Dreyer, E., 2008. Droit Penal Special. Paris: Ellipses. (in French)
2. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. Special Part of Criminal Law. Book I. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
3. Mchedlishvili, K., 2011, Criminal Law. general part 2, specific forms of commission of the crime. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
4. Turava, M., 2013. Criminal Law, Overview of the General Part. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)

Normative materials:

1. Criminal Code of Georgia. 22/07/1999 N.2287. [online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=241> [Accessed on June 14, 2022]. (in Georgian)
2. Draft Law of Georgia on Amending Criminal Code of Georgia 30/06/2014 [online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2383542?publication=0> [Accessed 14 June 2022]. (in Georgian)
3. Criminal Code of France, 1994. [online] available at: <https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT000006070719/> [Accessed 14 June 2022]. (in French)
4. US Federal Code, 10 U.S. Code), available: <https://uscode.house.gov/browse/prelim@title10&edition=prelim> [Accessed on June 14, 2022]. (in French)
5. Vermont State Legislation, Crime and Criminal Procedure, Chapter 13, 13 V.S.A. § 1025. [online] available at: <https://legislature.vermont.gov/statutes/section/13/019/01025> [Accessed 14 June 2022]. (in English)
6. Colorado Code 3.18-3-208. [online] available at: <https://leg.colorado.gov/sites/default/files/images/olls/crs2021-title-18.pdf> [Accessed 14 June 2022]. (in English)

Judicial Practice:

1. Judgment of Supreme Court of Georgia of 11 March 2004. (1144AP). (in Georgia)
2. Judgment of Supreme Court of Georgia of 30 June 2008 (2k-2kol-04). (in Georgia)

References:

1. Turava, M., 2013. Criminal Law. Overview of the General Part. Tbilisi: Meridiani, p p. 138, 140. 76-77; Duff, A., Criminalizing Endangerment, 2005. Louisiana Law Review, volume 65, 3, p. 955. (in Georgian)
2. Tskitishvili, T., 2015. Crimes Endangering Human Life and Health. Tbilisi: Meridiani, p. 332. (in Georgian)
3. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. Special Part of Criminal Law. Book I. Tbilisi: Meridiani, p. 189. (in Georgian)
4. Ibid. p. 193.
5. Ibid. p. 183.
6. Tskitishvili, T., 2015. Crimes Endangering Human Life and Health. Tbilisi: Meridiani, p. 322. (in Georgian)
7. Ibid. 322.
8. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. Special Part of Criminal Law. Book I. Tbilisi: Meridiani, p. 189. (in Georgian)
9. Ibid. p. 189.
10. Ibid. p. 191.
11. Tskitishvili, T., 2015. Crimes Endangering Human Life and Health. Tbilisi: Meridiani, 98. (in Georgian)
12. Ibid. p. 322.
13. Ibid.
14. Draft Law of Georgia on Bringing Changes and Amendments into the Criminal Code of Georgia, 30.06.2014. [online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2383542?publication=0> [Accessed 14 june 2022]. (in Georgian)
15. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. Special Part of Criminal Law. Book I. Tbilisi: Meridiani, p. 190. (in Georgian); Ugrekhelidze M., 1982. Fault in Endangerment offences, Tbilisi, p. 25 (in Georgian)
16. Gamkrelidze, O., 2013. Problems of Criminal Law. T. III, p. 245. (in Georgian)
17. Turava, M., 2013. Criminal Law, Criminal Law, overview of general part. Tbilisi: Meridiani, p. 138. (in Georgian)
18. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. Special Part of Criminal Law. Book I. Tbilisi: Meridiani, p. 190. (in Georgian)
19. Ibid. p. 184.

20. Turava, M., 2013. Criminal Law, Overview of General Part. Tbilisi, Meridiani. p. 138. (in Georgian)
21. Dreyer, E., 2008. Droit Penal Special. Paris: Ellipses, p. 84. (in French)
22. Ibid. p. 85.
23. Ibid. p. 86.
24. Ibid. p. 87.
25. Ibid.
26. Ibid.
27. Ibid. p. 88.
28. Tsikarishvili, K., 2017, Particularities of MensRea of the crime in French Criminal Law. Journal of Law, 2, p. 281. (in Georgian)
29. Tsikarishvili, K., 2008. The Issue of Attempted Crime with Eventual Intent in Italian, French, and Anglo-American Criminal Law. Justice and Law, 1, p. 45. (in Georgian)
30. ibid. p. 45.
31. Ibid. p. 44.
32. Duff, A., Criminalizing Endangerment, 2005. Louisiana Law Review, volume 65, 3, p. 945. (in English)
33. Ibid.
34. Ibid. p. 957.
35. Cahil, T., 2007. Attempt, Reckless Homicide and the Design of Criminal Law. University of Colorado Law Review, Vol. 78 (3), p. 891. (in English)
36. Ibid.
37. Duff, A., 2005. Criminalizing Endangerment. Louisiana Law Review, volume 65, 3, p. 957. (in English)
38. Vermont Criminal Code Section 1025. [online] available at: <https://legislature.vermont.gov/statutes/section/13/019/01025> [Accessed 14 June 2022]. (in English)
39. Colorado Criminal Code § 18-3-208. [Internet], available at: <https://leg.colorado.gov/sites/default/files/images/olls/crs2021-title-18.pdf> (Accessed 14 June, 2022] (in English)
40. New York Reckless Endangerment Sentencing. [online] available at: <https://criminal-defense.1800nynylaw.com/new-york-reckless-endangerment-sentencing-lawyer.html> [Accessed on 12 May, 2022]. (in English)
41. Vermont Criminal Code Section 1025. [online] Available at: <https://legislature.vermont.gov/statutes/section/13/019/01025> [Accessed 14 June 2022]. (in English)
42. After You Have Been Charged with Reckless Endangerment [online] available: <https://www.thebusseylawfirm.com/criminal-defense/reckless-endangerment.html> [Accessed 12 May 2022]. (in English)
43. Reckless endangerment. [online] available at: <https://www.blairkim.com/reckless-endangerment.html> [Accessed 12 May 2022]. (in Georgian)
44. See Tsikarishvili, K., 2008. The case of Attempted Crime with Doluseventualisin Italian, French, and Anglo-American Criminal Law. Justice and the Law, 1, p. 44. (in Georgian)
45. Reckless Endangerment. [online] available at: <https://www.blairkim.com/reckless-endangerment.html> [Accessed 12 May 2022]. (in Georgian)